

მარინა კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

marine.kobeshvidze@tsu.ge [n.chrikishvili@yahoo.com](mailto:n.chrikishvili@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2023.08.46>

## ფერთა ლექსიკა ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში და მათი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

ფრაზეოლოგია და მისი ლინგვოკულტურული ასპექტების კვლევა ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლინგვისტური ნაშრომების ერთ-ერთი მთავარი თემაა, რაც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირების კვლევისადმი გაზრდილი ინტერესით არის განპირობებული. ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სხვადასხვა კუთხით იკვლევენ, ახდენენ მათ სტრუქტურულ კლასიფიკაციას, წერენ ფრაზეოლოგიზმების ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებებზე, ატარებენ შედარებით-შეპირისპირებით კვლევებს და ა.შ. ლინგვოკულტუროლოგიის მიმართ გაზრდილმა ინტერესმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კონკრეტული კონცეპტის, მაგალითად, გასტრონომიული ლექსიკის, რიცხვების, ტოპონიმების, ზოონიმების, სხეულის ნაწილების, ფერების და ა.შ. შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევას.

ფერი უნივერსალური კატეგორიაა, თუმცა თითოეული ენობრივი საზოგადოება ინარჩუნებს ერთგვარ თავისებურებას, რაც კონკრეტული ლინგვისტური საზოგადოების მიერ სამყაროს თავისებურ აღქმასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: თეთრი სინათლის, სიწმინდის, უმწიკლობის, სიხარულის ფერია არაერთი ლინგვისტური საზოგადოებისთვის (მათ შორის ქართველებისთვის და ესპანელებისთვის), მაშინ როცა იგივე თეთრი გლოვის ფერია აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში.

ადამიანი ოდიდგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფერებს და იყენებდა მათ კონკრეტული შინაარსით. საკმარისია, გავიხსენოთ ამერიკელ ინდიელთა სახეებზე გამოყენებული ფერები, რასაც კონკრეტული მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. დროთა განმავლობაში ადამიანის ცნობიერებაში ფერთა სიმბოლიკამ ცვლილებები განიცადა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა ექტრალინგვისტური თუ ლინგვისტური ფაქტორებით და გაფართოვდა, მაგალითად: წითელი ფერი საუკუნეების განმავლობაში ასოცირდებოდა ძლიერ ემოციებთან, ხოლო მოგვიანებით შეიძინა პოლიტიკური მნიშვნელობაც. XX საუკუნეში წითელი ფერი გახდა საბჭოთა ფერი და ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირთან იყო დაკავშირებული წითელ ფერთან მოიხსენიებოდა. აღნიშნულის დასტურად მოგვყავს ორი მაგალითი: ქართველები „წითელ ინტელიგენციას“ ვეძახით ქართული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იყო, ხოლო ესპანელები „წითლებად“ ან „წითელ პოლიტიკოსებად“ (“rojos”, “políticos rojos”) მოიხსენიებენ რესპუბლიკელებს, ანუ პარტიას, რომელიც საბჭოთა კავშირთან იყო დაახლოებული.

ენაში არსებული ფერთა ლექსიკის ისტორიის და მისი ევოლუციის კვლევა არაერთი მეცნიერისთვის იყო ინტერესის სფერო, მათ შორის არიან: Turner (1983), Frúmkina (1984), Pamies Bertrán (1998), Wierzbicka (1999), Waszakowa (2000), Szalek (2005), Yanyshyn (2006), Luque Durán (2007), Komorowska (2010), Jurek (2011), Dedrick (2014) და სხვ. ქართველი ენათმეცნიერებიდან

ფერთა აღმნიშვნელ ქართულ ლექსიკას იკვლევდა ნ. მირიანაშვილი, რომელიც მონოგრაფიაც „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულში“ საკითხით დაინტერესებული ქართველი მეცნიერებისთვის უმთავრესი ნაშრომია.

ფერების სიმბოლიკა და ფერთა კავშირი კულტურასთან ნათლად ვლინდება ფრაზეოლოგიაში. გამონაკლისს არც ესპანური და ქართული ფრაზეოლოგია წარმოადგენს. ფერის სემანტიკური ელემენტის შემცველი ესპანური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მოძიება და მათი ლინგვიკულტურული ანალიზი წინამდებარე სტატიის მთავარი თემაა. განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ როგორც ესპანურ, ისე ქართულ ენაში მრავლად არის ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანდაზები და სიტყვა-თქმანი, რომელთა სტრუქტურაშიც შედის ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში გვხვდება არაერთი ფერი, მათ შორის თეთრი, შავი, ყვითელი, წითელი, ლურჯი, მწვანე და ა.შ. თუმცა, ყველაზე მრავალრიცხოვანი იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების ჩამონათვალია, სადაც თეთრი, შავი და წითელი ფერები ფიქსირდება. სწორედ ამ სამ ფერზე გავამახვილეთ ყურადღება და განვიხილეთ თითოეული მათგანის სიმბოლური დატვირთვა ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში.

ზოგადად, ფერების ორ ჯგუფს განარჩევენ, ესენია: ქრომატული ფერები და აქრომატული ფერები. **აქრომატულ ფერებს** მიეკუთვნება: თეთრი (blanco), შავი (negro) და ნაცრისფერი/რუხი (gris), რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის და მიიღება თეთრი და შავი ფერების სხვადასხვა პროპორციით შეზავების შედეგად. აქრომატულ ფერებს ქრომატული ფერებისგან განასხვავებს სინათლის ხარისხი (ნ. მირიანაშვილი, 1985). დანარჩენი ფერები **ქრომატულ ფერებს** წარმოადგენენ. ქრომატული ფერების რაოდენობა უამრავია. თუმცა, გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი სპექტრული ფერი: წითელი (rojo), ფორთოხლისფერი / ნარინჯისფერი (naranja), ყვითელი (amarillo), მწვანე (verde), ლურჯი (azul), იისფერი (violeta). ჩამოთვლილი ფერების გარდა, როგორც ესპანურ, ისე ქართულ ენაში გვხვდება ისეთი ფერები, სადაც კონკრეტული ფერის ნაკლები ინტენსივობა ჩანს. ფერის ოდნაობითი ხარისხი ქართულში გადმოცემულია მო-ო თავსართ-ბოლოსართით (თუმცა, იგივე შინაარსი ლექსიკური საშუალებითაც გადმოიცემა: ოდნაც ლურჯი, ოდნავ წითელი), ხოლო ესპანურში ადიექტიური დერივაცია ფიქსირდება: მოყვითალო - amarillento (que tira a amarillo), მომწვანო - verdoso (que se asemeja al color verde), მოლურჯო - azulado (de color parecido al azul), მოწითალო - rojizo (que tira a rojo).

ფერთა საკმაოდ ვრცელი გამა გვხვდება ესპანურ ფრაზეოლოგიაში. ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გვხვდება თეთრი, შავი, ნაცრისფერი (რუხი), წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ვარდისფერი, იისფერი, ყავისფერი, მაგალითად: **estar blanco** (estar uno sin antecedentes penales) - იყო უდანაშაულო, **tener la negra** (tener mala suerte) - არ გიმართლებდეს, **días grises** - ღრუბლიანი, ბინდიანი დღეები, **números rojos** (salgo negativo en una cuenta) - გაწითლებული საბანკო ანგარიში, **prensa amarilla** (periódicos sensacionalistas) - ყვითელი პრესა, **ser de sangre azul** (ascendencia noble) - იყო დიდგვაროვანი, წარჩინებული წარმომავლობის, **príncipe azul** (hombre perfecto) - ოცნების მამაკაცი, **dar luz verde a alguien** (autorizar, dar permiso) - ნების დართვა, **estar verde** (sin madurar, inexperto, en sus comienzos) - იყოს დაუმწიფებელი, გამოუცდელი, დაუმთავრებელი, **viejo verde** (persona de edad avanzada que busca mujeres más jóvenes) - ბებერი მექალთანე, **ver todo de color rosa** (ser optimista) - ვარდისფერი სათვალთ ყურება, იყო ოპტიმისტი, **erudito a la violeta** (se usa para aquellos que aparentan mucha erudición pero tienen poca sabiduría) - ფსევდოინტელექტუალი, **comerse un marrón** (pagar culpas

ajenas) - აგო პასუხი სხვისი შეცდომის გამო და სხვ. გხვდება ისეთი ფრაზებიც, რომლებიც შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენებიდან იღებს სათავეს, მაგალითად: **¡A buenas horas, mangas verdes!** - კარგ დროს მოხვედი (ირონიულად ნათქვამი). აღნიშნული ფრაზის ეტიმოლოგია დაკავშირებულია კათოლიკე მეფეების - ისაბელ კასტილიელის და ფერნანდო არაგონელის მიერ შექმნილი „წმინდა სამოს“<sup>1</sup> წევრების უნიფორმასთან (მწვანე სახელოებიანი ტყავის ქურთუკი). გამომდინარე იქიდან, რომ სამოს წევრები არ გამოირჩეოდნენ სწრაფი, დროული მოქმედებებით და დანაშაულის ადგილას ხშირად დაგვიანებით ჩნდებოდნენ, ხალხში გაჩნდა გამოთქმა „¡A buenas, mangas verdes!“.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანური ფრაზეოლოგია ფერთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შესწავლილმა მასალამ გვაჩვენა, ესპანურ ენაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფერებია: თეთრი, შავი და წითელი. ბუნებრივია, თითოეულ მათგანს კონკრეტული დატვირთვა აქვს, მაგალითად: თეთრი ფერი ასოცირდება სინათლესთან, სიწმინდესთან, უდანაშაულობასთან, სიცარიელესთან, წესრიგთან, კანონმორჩილებასთან, ხოლო შავი ფერი უიღბლობის, პესიმიზმის, პრობლემების, სევდის, სიბნელის, სიკვდილის სიმბოლოა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თეთრი (ესპ. blanco), ისე შავი (ესპ. negro) ფერის ინტენსივობის გასაზრდელად ხშირად გამოიყენება შედარება, მაგალითად: **blanco como la nieve** - თოვლივით თეთრი, **blanco como la leche** - რძესავით თეთრი, **blanco como el armiño** - ყარყუმით თეთრი, **más negro que el carbón** - ნახშირზე შავი, **más negro que la mora** - მაცვალზე შავი, **más negro que el azabache** - გიშერზე შავი და სხვ. გვაქვს წითელი ფერის მაგალითებიც: **rojos como un tomate** - პომიდორით წითელი, **rojo como la sangre** - სისხლივით წითელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეთრი ფერი ასოცირდება უდანაშაულობასთან, სიცარიელესთან (მათ შორის ინფორმაციულ სიცარიელესთან, ანუ რაღაცის არცოდნასთან), კარგად ჩაცმასთან, განსაკუთრებულობასთან, სიფრთხილესთან, თავაზიანობასთან (განათლებასთან, კარგ მანერებთან), სიწმინდესთან, რაც დასტურდება ქვემოთ მოყვანილი არაერთი მაგალითით: **estar blanco** (estar uno sin antecedentes penales) - იყო უდანაშაულო, **estar en blanco** (estar ignorante de algo) - არ იცოდე რაღაც, **de punta en blanco** (muy bien arreglado) - კარგად (ეფექტურად) ჩაცმული, **ser un mirlo blanco** (tener comportamiento inusual) - ითქმის საკვირველ, გასაოცარ, არაორდინალურ ადამიანზე (სიტყვასიტყვით: თეთრი შაშვია), **con guante blanco** - ფრთხილად, დელიკატურად (სიტყვასიტყვით: თეთრი ხელთათმანით), **de guante blanco** (con esta expresión se valora la elegancia, cortesía, educación, buenos modales empleados en alguna acción) – ელეგანტურად, თავაზიანად,<sup>2</sup> **pasar la noche en blanco** (sin dormir) - ღამის თეთრად გატარება. საინტერესოა, ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია. ფრაზეოლოგიური ერთეული pasar la noche en blanco რაინდად კურთხევის ტრადიციებიდან იღებს სათავეს. რაინდად კურთხევის წინ თეთრ ტუნისში გამოწყობილი „რაინდობის კანდიდატი“ ღამეს ლოცვაში ატარებდა (სამლოცველოში). განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა სამოსის ფერს - თეთრს, რადგან თეთრი ფერი იყო pureza espiritual-ის სიმბოლო. ერთადერთი გამონაკლისი, სადაც თეთრი ფერი რაღაც უარყოფითთან, კონკრეტულად კი სიკვდილთან არის დაკავშირებული, არის ფრაზეოლოგიური ერთეული **jinete del caballo blanco** (aparece donde

<sup>1</sup> „წმინდა სამოს“ ფუნქცია გზების ბანდიტებისგან გათავისუფლება, დამნაშავეების პოვნა და დასჯა იყო.

<sup>2</sup> აქვე უნდა აღინიშნოს გამოთქმა lardón de guante blanco, რაც ნიშნავს “robar objetos valiosos de forma elegante, es decir, sin dejar pistas.

puede presentarse la muerte) - თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი (სიკვდილის მომასწავებელი).

ანალოგიური დატვირთვა აქვს ესპანურ ლექსიკურ ერთეულს “claro”, რაც აღნიშნავს ნათელს და გამოიყენება ისეთ ფრაზებში, სადაც სინათლეზე, სიცხადეზე, განმარტებაზე, სიმართლის თქმაზე, გამჭვირვალობაზე ხდება მითითება, მაგალითად: **a las claras** (con claridad) - ნათლად, **por lo claro** (sin rodeos, de modo claro) - გარკვევით, ნათლად, ცხადად, **poner algo en claro** (aclarar, explicar algo) - რამის განმარტება, ახსნა, **cantar claro** (decir la verdad o confesarla) - სიმართლის თქმა, **más claro que el agua** (claro y seguro) - წყალივით გამჭვირვალე, აშკარა.

რაც შეეხება შავ ფერს, შავი ფერი ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ძირითადად სიბრაზის, გაღიზიანების, უიღბლობის, სირთულის, გამოუვალი მდგომარეობის, უკანონობის, პესიმიზმის და საერთოდ ყოველივე ნეგატიურის აღმნიშვნელია, რაც დასტურდება შემდეგი მაგალითებით: **estar negro** (muy enfadado) - იყო გაბრაზებული, **ponerse negro** (irritarse mucho) - გაღიზიანება, **tener la negra** (tener mala suerte) - არ გიმართლებდეს (არ გქონდეს იღბალი), **esa es más negra** (muy difícil) - ძალიან რთული, **todo negro** (sin salida) - გამოუვალი, **trabajar en negro** (fuera de la ley) - მუშაობა უკანონოდ, არალეგალურად, **verlo todo negro** (ser muy pesimista) - იყო პესიმისტი, **pasarlas negras** (encontrarse en una situación difícil, dolorosa o comprometida) - გქონდეს რთული პერიოდი, **ser la oveja negra** - იყო ოჯახის შემარცხვენი და სხვ. შავი ფერი უკანონობის, უსიამოვნოს, სიბინძურის აღმნიშვნელია ისეთ გამოთქმებშიც, როგორცაა: **dinero negro** (que no paga impuestos) - შავი (არალეგალური) ფული, **mercado negro** (contrabando) - შავი ფული, **leyenda negra** (relato desfavorable y generalmente infundado sobre alguien o algo) - არასასიამოვნო და უსაფუძვლო (დაუსაბუთებელი) ამბავი, **pozo negro** (pozo para depósito de aguas inmundas) - ნარეცხი, ჭუჭყიანი წყლისთვის განკუთვნილი ორმო და სხვ. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, მათ შორის: **oro negro** (petróleo) - ნავთობი (შავი ოქრო), **caja negra** - შავი ყუთი (ფრენის პარამეტრების რეგისტრატორი)...

აქვე უნდა აღინიშნოს, ესპანური “oscuro“-თი წარმოებული გამოთქმები, რომლებიც ასევე უარყოფით მნიშვნელობას ატარებენ. ფრაზეოლოგიური ერთეული **estar a oscuras** ორი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს სიბნელეში ყოფნას (sin luz) ან რაღაცის არცოდნას (sin conocimiento de algo).

წითელი ფერი ძალზედ მნიშვნელოვანი ელემენტია ესპანური ფრაზეოლოგიისთვის. წითელი ფერი გამოიყენება ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც გადმოცემენ სხეულის ფიზიოლოგიურ რეაქციას (მაგალითად, გაბრაზებას, განრისხებას, სირცხვილს), ფინანსურ პრობლემებს, საფრთხის საშიშროებას, აკრძალვას: **ponerse rojo** (sentir vergüenza, sonrojarse) - გაწითლება (სირცხვილისგან, უხერხულობისგან), **rojos de ira** (muy enfadado) - ძალიან გაბრაზებული, **números rojos** (saldo negativo en una cuenta bancaria o en una contabilidad empresarial) გაწითლებული საბანკო ანგარიში, **alerta roja** (estado de máxima atención y vigilancia decretado por una autoridad en momentos de gran peligro, e especialmente ante catástrofes naturales) - განგაში, **bandera roja** (სიტყვასიტყვით: წითელი დროშა) - საშიშროების, საფრთხის მაუწყებელი ნიშანი, **líneas rojas** (სიტყვასიტყვით: წითელი ხაზები) - საზღვარი (ზღვარი), რომელიც არ უნდა გადაკვეთო. რამდენიმე მნიშვნელობით, მათ შორის გავარვარებულის მნიშვნელობით, გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეული **al rojo / al rojo vivo**.

ჩვენს მოხსენებაში განხილული სამივე ფერი - თეთრი (blanco), შავი (negro), წითელი (rojo) - პოლისემანტიკური სიტყვებია, რაც ნიშნავს, რომ ფერების გარდა, ისინი სხვა სემანტიკურ მნიშვნელობასაც ატარებენ, მაგალითად: ესპ. blanco, თეთრის გარდა, აღნიშნავს ფერმკრთალს (ფერწასულს, გაფითრებულს), სამიზნეს (მიზანს) და შუა საუკუნეების კასტილიაში გამოყენებულ ვერცხლის მონეტას: **blanco como un muerto** - მიცვალებულივით ფერწასული, **blanco como un papel** - ქაღალდით ფერმკრთალი, **dar en el blanco** (acertar) - მიზანში მოხვედრა, **estar sin blanca** - უფულოდ ყოფნა; ხოლო ესპ. negro გამოიყენება შავკანიანი ადამიანის (de piel negra) აღსანიშნად და მისი გამოყენება ძირითადად ცუდად მოპყრობასთან, ბევრ მუშაობასთან, უფლებების დარღვევასთან არის კავშირში: **trabajar como un negro** (en exceso, demasiado) - იმუშაო ძალიან ბევრი, **¡No somos negros!** - გამოიყენება ცუდად მოპყრობის გასაპროტესტებლად და ა.შ. რაც შეეხება წითელს, ესპანურად rojo, ფერის გარდა, აღნიშნავს რესპუბლიკელს (პოლიტიკურად): **políticos rojos** - რესპუბლიკელები.

ესპანურისთვის, ისევე როგორც სხვა არაერთი ენისთვის, დამახასიათებელია სინათლისა და სიბნელის, თეთრისა და შავის სემანტიკური კონტრასტი, რაც რასაკვირველია, ჩვენი დღისა და ღამის პრიმიტიული აღქმისგან მომდინარეობს. დღისა და ღამის, თეთრისა და შავის კონტრასტი ნათლად ჩანს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: **ser como la noche y el día** (no parecerse en nada), **parecerse como el día a la noche** (ser dos cosas o dos personas completamente distintas). ამ ფრაზების გამოყენებით ხდება მითითება, რომ შესადარებელი ობიექტები ან სუბიექტები საერთოდ არ გვანან ერთმანეთს და რადიკალურად, დღე და ღამესავით განსხვავდებიან. აქვე უნდა ვახსენოთ შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც: **no distinguir alguien lo blanco de lo negro** ითქმის სულელ ადამიანზე, რომელიც ვერ არჩევს ერთმანეთისგან თეთრს და შავს, ხოლო **hacer de lo blanco negro** (engaño con astucia) - აღნიშნავს ცბიერ, ეშმაკურ ტყუილს.

ფერების სიმბოლიკა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია. თუმცა, მრავლად არის ისეთი მაგალითებიც, სადაც იდენტური სიმბოლოური მნიშვნელობა ფიქსირდება, მაგალითად: ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეული **pasar la noche en blanco** და ქართული **თეთრი თვალით გათენება** იდენტური შინაარსის გამოთქმება და ორივე შემთხვევაში უძილობას, ღამის თეთრად გათენას აღნიშნავს. შინაარსობრივი თანხვედრაა შემდეგ ფრაზებთანაც: **no distinguir alguien lo blanco de lo negro** და თეთრი და შავი ვერ გაურჩევია.

ესპანურის მსგავსაც, ქართულ ფრაზეოლოგიაშიც ძირითადად თეთრი, შავი და წითელი გვხვდება. თუმცა, მათ შორისა გამოირჩევა შავი ფერის სიმრავლე, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილი მაგალითებით: **შავ დღეზე გაჩენილი** - უბედური, უიღბლო, გაჭირვებული, **შავი დღე** - უბედურების, გაჭირვების დრო, **შავი დღის დაყენება** (იგივე შავი დღის დაყრა) - გამწარება, დასჯა, შავ დღეში ჩაგდება, **შავი კატის გარბენა** - ურთიერთობის გაფუჭება, უთანხმოების ჩამოვარდნა (ვინმეს შორის), გადაკიდება (იდიომი მომდინარეობს ცრუ რწმენიდან, რომ თითქოს კატის მიერ წინიდან გზის გადაჭრა უბედურების, უსიამოვნების მომასწავებელია), **შავმა მიწამ წაიღო** - მოკვდა, წუთისოფელს გამოესალმა, **შავი დედალივით გაკეთდა** - გასუქდა, **შავი კაბით დაჯდომა** - გლოვა, მწუხარება, **შავი მიწის შესაჭმელი** (წყევლა) - სასიკვდილე, **შავი ყორნის დაჩხავლება** - შავბედობის მომასწავლებელი (უბედურების ნიშანი), **შავი ჭირით გადაკიდება** - ჩაცივება, არმოშვება და სხვ.

რაც შეეხება წითელ ფერს, წითელი ფიქსირდება შემდეგ მაგალითებთან: **წითელი კვერცხის გაგორება** - ელოლიავება, ცდილობს ასიამოვნოს, **წითელი კვერცხია** - სააღერსებელი, მოსაფერებელი ადამიანი, **წითელი კვერცხის დაჭერა** - აღდგომის გათენება, მხიარულება,

**წითელი კოჭი** - ვითომც ყველაზე უკეთესი, განსაკუთრებული, გამორჩეული და სხვ. ფერების შემცველი ქართული გამოთქმების მოძიებისას, შეგვხვდება კიდევ ორი მაგალითი: **მწვანე კიტრით მოაქვს თავი** - უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქიბუქობა და **ვარდისფერი სათვალით ყურება**, რომელიც არის იდენტური ესპანური ფრაზისა *ver todo de color rosa*.

ამრიგად, განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ფერის კონცეპტის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ როგორც ესპანურ, ისე ქართულ ფრაზეოლოგიაში. გვაჩვენა ისიც, რომ ესპანურ და ქართულ ფრაზეოლოგიაში ყველაზე ხშირად თეთრი, შავი და წითელი ფერები გვხვდება. თეთრი ფერი ორივე ენაში სიმშვიდის და სიწმინდის ნიშანია, ხოლო შავი ძირითადად ნეგატიურ მნიშვნელობას ატარებს. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, მასალის განხილვისას ვნახეთ არაერთი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელსაც მხოლოდ ქართული ან მხოლოდ ესპანური კონტექსტი დაედო საფუძვლად.

### ლიტერატურა:

1. მირიანაშვილი, ნ. (1985) ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულში, თბილისი
2. სახოკია, თ (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მერანი, თბილისი.
3. Berlin, Brent y Kay, Paul (1969) Basic Color Terms. Their Universality and Evolution. Berkeley – Los Angeles – Oxford, University of California Press
4. Buitrago A. (2012): Diccionario de dichos y frases hechas. España. Barcelona.
5. Corpas Pastor G. (1996): Manual de fraseología española. Gredos. Madrid.
6. Diccionario de la fraseología española. Jesús Cantera Ortiz de Urbina y Pedro Gomis Blanco, Abada Editores, Madrid, 2007
7. Moliner M. (2001): Diccionario de uso del español. Gredos. Madrid
8. Muñoz J., Cantera J. (2008): 1001 refranes españoles. Ediciones Internacionales Universitarias. Madrid
9. Seco M., Olimpia A., Gabino R. (2005): Diccionario fraseológico documentado del español actual. Aguilar. Madrid
10. <https://dle.rae.es/>

**Marina Kobeshavidze, Nino Chrikishvili**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia

### **Color vocabulary in Spanish and Georgian phraseological units and their linguocultural aspects**

#### Abstract

All languages reflect the theoretical, practical and cultural knowledge of man and his culture, which man acquires in the process of conceptualizing of the world. Linguoculturology draws special attention because it studies the relationship between language and culture. The reflection of the world (its objective reality) in human consciousness is represented by the connection between conceptual and linguistic worldviews. Color is a universal category, although in each language community it carries and maintains

its special specificity. The basic vocabulary of colors can vary between cultures and languages. The main colors in the language create a worldview in the form of colors, in turn, they represent the linguistic image of the world. Phraseological units containing colors are an important phenomenon for the Spanish culture, which is also reflected in the language and gives it a special nuance and peculiarity.

In the present report, we present a linguocultural analysis of those phraseological units that include the semantic elements of color in both Spanish phraseological and Georgian phraseological units.